

InfoBox ტექსტური ჩანართები სხვა წყაროში მოცემული ინფორმაციის მითითებით

Def ტერმინის განმარტებითი ბარათი

მაგალითი	განმარტება
INFO6	მსგავსი შეფერილობის ტექსტი არის მხოლოდ იდენტიფიცირებისთვის და არ უნდა ჩანდეს კონტენტში.
	ჩარჩოები არ უნდა ჩანდეს კონტენტში.
InfoBox 1	მსგავსი ნუმერაცია არ უნდა ჩანდეს კონტენტში.
HS Code	მსგავსი შეფერილობის ტერმინებზე დამიზნებისას უნდა გამოჩნდეს მისი დეფინიცია (ფოთფოთი).
<u>უახლესი ვერსია</u>	მსგავსი შეფერილობის ხაზგასმული ტექსტი ყოველთვის არის ბმული და დაკავშირებულია გარე წყაროსთან.
[ბმული დოკუმენტზე: RS-HS.docx]	მსგავსი შეფერილობის დასახელებები არ უნდა გამოჩნდეს კონტენტში. ისინი მიუთითებს შიდა წარგებზე, რომლებიც განთავსებულია ფოლდერებში „სტატიები“, „ცხრილების ანალიზი“ ან ფოლდერში „დამხმარე რესურსები“. „სტატიები“ და „ცხრილების ანალიზი“ უნდა განთავსდეს კონტენტში ტექსტად. „დამხმარე რესურსები“ უნდა გაიხსნას ჩამოსატვირთად, ახალ ფანჯარაში.

INFO BOXES

InfoBox ტექსტური ჩანართები სხვა წყაროში მოცემული ინფორმაციის მითითებით

InfoBox 1

INFO1

მოიძიეთ სასაქონლო კოდები (HS Code) ქართულ ენაზე როგორც 6-ნიშნა (საერთაშორისო), ასევე 11-ნიშნა (ეროვნული) დონემდე [შემოსავლების სამსახურის პორტალზე](#) ან ჩამოტვირთეთ სასაქონლო ნომენკლატურის [უახლესი ვერსია](#) [ბმული დოკუმენტზე: RS-HS.docx]

იხილეთ სასაქონლო კოდების (HS Code) სრული ჩამონათვალი ინგლისურად, როგორც 6-ნიშნა (საერთაშორისო: “At 2, 4, 6 Digit levels”), ასევე 11-ნიშნა (ქვეყნების მიხედვით: “At Tariff Line level”) დონემდე საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის პორტალზე [Trademap](#) (advanced search).

მეწარმეს შეუძლია დაადგინოს საექსპორტო პროდუქტის სასაქონლო კოდი ონლაინ, შემოსავლების სამსახურის პორტალზე www.rs.ge რეგისტრირებული ანგარიშიდან. გახსენით „ახალი განცხადება“ და საძიებო ველში აარჩიეთ „სასაქონლო კოდის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა“. მომსახურების მიღება 30 დღის განმავლობაში უფასოა, კონკრეტულ ვადებში - ფასიანია ([მოხმარების სახელმძღვანელო](#)).

INFO6

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობა რეგულირდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით ([DCFTA](#)), ხოლო წარმოშობის წესები რეგულირდება პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის (Pan-Euro-Med) პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონული [კონვენციით](#) და ამავე კონვენციის [ალტერნატიული წესებით](#) [ბმული ფაილზე], რომელიც, 2025 წლიდან ანაცვლებს ზემოხსენებულ კონვენციას (განახლებული ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.dcfta.gov.ge).

[ალტერნატიული წესების](#) [ბმული ფაილზე “Alt-Rules”] მიხედვით, როდესაც წარმოშობა დგინდება კოდის ცვლილების (CTH) ან ადვალური წილის (QVC) მეთოდებით, ორივე კრიტერიუმი თანაბარმნიშვნელოვანია. თუმცა, თუ პროდუქცია აკმაყოფილებს კოდის ცვლილების კრიტერიუმს, აღარ არის საჭირო ღირებულების კრიტერიუმის შესრულებაც.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ განხორციელებული გადამუშავება უნდა აღემატებოდეს [არასაკმარისი დამუშავება-გადამუშავების ოპერაციებს](#). [ბმული ფაილზე “Art6-AltRules”] ნებისმიერი ოპერაცია რომელიც არ არის ამ ჩამონათვალში, ითვლება არასაკმარისზე მეტად, თუმცა ავტომატურად არ ნიშნავს საკმარის გადამუშავებას, რადგან შესაძლებელია ის იყოს გამონაკლისში.

თუ საქონელი ხვდება გამონაკლისში, მაშინ მან უნდა გაიაროს [სპეციფიკური დამუშავების პროცესი](#). [ბმული ფაილზე “Note9-AltRules”]

იმისათვის, რომ ევროკავშირში იმპორტის დროს საქართველოდან ექსპორტირებულმა საქონელმა ისარგებლოს ამ შეთანხმებებით განსაზღვრული სატარიფო შეღავათებით, საჭიროა პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის **EUR.1** მოპოვება, რომელიც ასევე მოქმედებს EFTA-ს ქვეყნებში (ნორვეგია, შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ისლანდია), უკრაინაში, თურქეთში და დიდ ბრიტანეთში.

იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება, გაიცემა არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის შემზღუდავი ღონისძიებებისგან (ქვოტები, სანქციები, ანტიდემპინგური შეზღუდვები და ა.შ.) თავის ასარიდებლად და სტატისტიკური აღრიცხვის მიზნებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობის სერტიფიკატი არ არის სავალდებულო დოკუმენტი, [ექსპორტის განვითარების ასოციაცია](#) ურჩევს ექსპორტიორებს მოიპოვონ იგი ნებისმიერ შემთხვევაში, რომ თავიდან აირიდონ შესაძლო დაბრკოლებები განბაჟებისას.

EUR.1 ფორმის შევსება შესაძლებელია ონლაინ, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე. იხილეთ [ფორმა და ინსტრუქცია](#).

INFO8

იხილეთ ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი სტანდარტების, მასერტიფიცირებელი ორგანიზაციებისა და ლაბორატორიების [სამიუბო სისტემა](#).

INFO9

იხილეთ ევროკავშირის ფარგლებში ჰარმონიზებული (ერგება ყველა წევრი ქვეყნის მოთხოვნებს) EN კოდების ჩამონათვალი ეროვნული მეტროლოგიის სააგენტოს ვებგვერდზე [ჰარმონიზებული სტანდარტები](#) . სააგენტოს [სტანდარტების სამიუბო სისტემა](#) მოიცავს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს. საერთაშორისო სტანდარტების უმრავლესობა ნათარგმნია ქართულ ენაზე. სტანდარტები ფასიანია და მათი შეძენა შეიძლება ონლაინ.

INFO10

კონკრეტული პროდუქტის მიმართ კონკრეტულ ბაზარზე მოთხოვნილი სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სპეციალიზებულ საკონსულტაციო კომპანიას [ISO Consulting](#). ელ.მისამართზე: contact@isoconsulting.ge ან დარეკოთ ნომერზე: (995) 593 118 113

GCMC-ის წევრებისთვის მოქმედებს მომსახურების განსაკუთრებული პირობები.

INFO11

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცხელი ხაზი: 1403

INFO12

იხილეთ [ინფორმაციული ვიდეო Procurement Map](#)-ის შესახებ ინგლისურ ენაზე.

INFO13

საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის შემთხვევაში, მესამე ქვეყნებად ჩაითვლება ის სახელმწიფოები, რომლებთანაც საქართველოს არ გააჩნია სპეციალური შეთანხმება მათ ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქტის ევროკავშირში უბაჟოდ გატანისთვის. ეს არის ყველა, გარდა შემდეგი პარტნიორი სახელმწიფოებისა:

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები

EFTA ქვეყნები: შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი

თურქეთის რესპუბლიკა

უკრაინა

შესაბამისად, თუ საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტში გამოყენებულია ზემოთ ჩამოთვლილ პარტნიორ ქვეყნებში წარმოშობილი ნედლეული, აღარ დგება სპეციალური გადამუშავება-დამუშავების საჭიროება (არსებობს გამონაკლისები).

ქართული პროდუქტის წარმოშობის წესის გამარტივება ეფუძნება ე.წ. [კუმულაციის რეჟიმს](#).

INFO14

იხილეთ [ექსპორტის განვითარების ასოციაციის](#) მიერ მომზადებული [ინფორმაციული ვიდეო](#) და დეტალური ორენოვანი [გზამკვლევი](#) ევროკავშირის საჯარო ტენდერებში ქართული კომპანიების მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.

INFO16

კონკრეტული პროდუქტის წარმოების სტანდარტის დასადგენად მიმართეთ [საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს](#): T: (995 32) 261 25 30; E: geostm@geostm.ge

INFO17

იხილეთ საჯარო შესყიდვების პორტალების ნუსხა ქვეყნების მიხედვით.

ბმული დოკუმენტზე: Portalsl.xls Sheet: “ტენდერები”

INFO19

საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის ვაჭრობა რეგულირდება 1995 წლის 4 სექტემბრის [თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმებით](#), ხოლო წარმოშობის წესები რეგულირდება დსთ-ის მეთაურთა საბჭოს 1993 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული [საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესით](#) (RUS) რომელიც წარმოადგენს ამ შეთანხმების დანართს.

იმისათვის, რომ იმპორტის დროს საქონელმა ისარგებლოს სავაჭრო შეთანხმებით განსაზღვრული სატარიფო შეღავათებით, საჭიროა პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება.

პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პროდუქციაზე, რომელიც აკმაყოფილებს ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების მიერ შეთანხმებულ წარმოშობის წესებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წარმოებაში გამოიყენება მესამე ქვეყნის ნედლეული, ანუ იგი არ არის საქართველოში [მთლიანად წარმოშობილი \(WO\)](#), მას ესადაგება [კოდის ცვლილების წესი \(CTH\)](#).

საქართველო-უზბეკეთის სავაჭრო შეთანხმებით, მესამე ქვეყნები ნიშნავს ყველას, გარდა დსთ-ის ქვეყნებისა, იმ პირობით რომ ნედლეულის წარმოშობა დასტურდება **CT-1** სერტიფიკატით.

უზბეკეთში ექსპორტის დროს გაიცემა **CT-1** პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატს რომელიც ასევე მოქმედებს დსთ-ის სხვა წევრ სახელმწიფოებშიც. **CT-1** წარმოშობის სერტიფიკატის მიღება შესაძლებელია ონლაინ, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ([ფორმა და ინსტრუქცია](#)) და საქართველოს სავაჭრო პალატის ვებგვერდზე ([ფორმა](#)).

იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება, გაიცემა არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის შემზღუდავი ღონისძიებებისგან (ქვოტები, სანქციები, ანტიდემპინგური შეზღუდვები და ა.შ.) თავის ასარიდებლად და სტატისტიკური აღრიცხვის მიზნებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობის სერტიფიკატი არ არის სავალდებულო დოკუმენტი, [ექსპორტის განვითარების ასოციაცია](#) ურჩევს ექსპორტიორებს მოიპოვონ იგი ნებისმიერ შემთხვევაში, რომ თავიდან აირიდონ შესაძლო დაბრკოლებები განბაჟებისას.

INFO23

დისტანციის დათვლისას გათვალისწინებულია რუსეთის ავლის მარშრუტი.

INFO24

საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ვაჭრობა რეგულირდება 1995 წლის 4 სექტემბრის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმებით. წარმოშობის წესები რეგულირდება 2000 წლის 30 ნოემბრის დსთ-ის მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესით (RUS) **[ბმული ფაილზე CIS-ROO.pdf]**.

იმისათვის, რომ იმპორტის დროს საქონელმა ისარგებლოს სავაჭრო შეთანხმებით განსაზღვრული სატარიფო შეღავათებით, საჭიროა პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება.

პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პროდუქტიაზე, რომელიც აკმაყოფილებს ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების მიერ შეთანხმებულ წარმოშობის წესებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წარმოებაში გამოიყენება მესამე ქვეყნის ნედლეული, ანუ იგი არ არის საქართველოში მთლიანად წარმოშობილი (WO), მასზე გავრცელდება ერთი ან რამდენიმე წესის კომბინაცია, მათ შორის: კოდის ცვლილების წესი (CTH), ადვალური წილის წესი (QVC) და გადამუშავების სპეციფიკური ოპერაციები (PSR).

საქართველოსა და ყაზახეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებში, მესამე ქვეყნები ნიშნავს ყველას, გარდა დსთ-ის ქვეყნებისა. ნედლეულის წარმოშობა უნდა დასტურდებოდეს **CT-1** სერტიფიკატით.

უზბეკეთში ექსპორტის დროს გაიცემა **CT-1** პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი რომელიც ასევე მოქმედებს დსთ-ის სხვა წევრ სახელმწიფოებშიც. **CT-1** წარმოშობის სერტიფიკატის მიღება შესაძლებელია ონლაინ, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ([ფორმა და ინსტრუქცია](#)) და საქართველოს სავაჭრო პალატის ვებგვერდზე ([ფორმა](#)).

იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება, გაიცემა არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის შემზღუდავი ღონისძიებებისგან (ქვოტები, სანქციები, ანტიდემპინგური შეზღუდვები და ა.შ.) თავის ასარიდებლად და სტატისტიკური აღრიცხვის მიზნებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობის სერტიფიკატი არ არის სავალდებულო დოკუმენტი, [ექსპორტის განვითარების ასოციაცია](#) ურჩევს ექსპორტიორებს მოიპოვონ იგი ნებისმიერ შემთხვევაში, რომ თავიდან აირიდონ შესაძლო დაბრკოლებები განბაჟებისას.

INFO27**ნებართვები**

ექსპორტში, რეექსპორტში ან გარე გადამუშავებაში, წარედგინება ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ნებართვა, [ნუსხაში](#) მოხვედრილ საქონელზე (იხ. სეს ესნ-თან [კორელაციის ცხრილი](#))

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის ნებართვის მისაღებად წარსადგენი [განაცხადის ფორმა](#)

INFO29**ნებართვები:**

ნებისმიერ პროცედურაში/რეექსპორტში, წარედგინება სამხედრო დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის ნებართვა, [ნუსხაში](#) მითითებულ საქონელზე.

ნებართვას გასცემს თავდაცვის სამინისტრო [განცხადების](#) საფუძველზე.

INFO31

საქართველოსა და აშშ-ის შორის ვაჭრობა რეგულირდება მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (WTO) საერთაშორისო შეთანხმებით, რომლის წევრიც არის ორივე სახელმწიფო. ამასთან ერთად, საქართველო ჩართულია აშშ-ის პრეფერენციების გენერალიზებულ სქემაშიც ([GSP](#)).

GSP არის ცალმხრივი საშელავათო მექანიზმი, რომელიც აშშ-ის მიერ [შერჩეულ ქვეყნებს](#) ცალმხრივად უმცირებს ან უწულებს იმპორტის გადასახადს გარკვეულ საქონელზე. იხილეთ WTO და GSP შორის [სატარიფო სხვაობის ცხრილი](#) სქემაში ჩართულ ყველა პროდუქტზე.

GSP რეჟიმი არის ვადიანი და ექვემდებარება პერიოდულ განახლებას აშშ-ის კონგრესის მიერ. GSP სქემა შეჩერებულია 2020 წლის შემდეგ ყველა მოსარგებლე ქვეყნისათვის (2024 დეკემბრის მდგომარეობით). მიუხედავად ამისა, [ექსპორტის განვითარების ასოციაცია](#), ურჩევს ექსპორტიორებს მოიპოვონ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი თუ მათი საქონელი აკმაყოფილებს GSP-ის წარმოშობის წესებს, რადგან განახლების შემთხვევაში, კვალიფიციურ იმპორტიორებს შესაძლებელია აუნაზღაურდეთ განკუთვნილი შეღავათები რეტროსპექტიულად.

აშშ-ში (ასევე იაპონია და კანადა) ექსპორტის დროს გაიცემა **ფორმა A** პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი რომლის მიღებაც შესაძლებელია ონლაინ, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე ([ფორმა და ინსტრუქცია](#)) და საქართველოს სავაჭრო პალატის ვებგვერდზე ([ფორმა](#)).

იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის მოპოვება, გაიცემა არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის შემზღუდავი ღონისძიებებისგან (ქვოტები, სანქციები, ანტიდემპინგური შეზღუდვები და ა.შ.) თავის ასარიდებლად და სტატისტიკური აღრიცხვის მიზნებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობის სერტიფიკატი არ არის სავალდებულო დოკუმენტი, [ექსპორტის განვითარების ასოციაცია](#) ურჩევს ექსპორტიორებს მოიპოვონ იგი ნებისმიერ შემთხვევაში, რომ თავიდან აირიდონ შესაძლო დამატებითი გადასახადები.

GSP სქემით სარგებლობის წესი:

1. საქონელი უნდა შედიოდეს აშშ-ს [GSP ნუსხაში](#);
და
2. უნდა იყოს მთლიანად ქვეყანაში წარმოშობილი ([WO](#))
ან
3. აკმაყოფილებდეს ღირებულების კრიტერიუმს ([QVC](#)), რომლის მიხედვით, საქონლის დასამზადებლად გამოყენებული ადგილობრივი ნედლეულის ღირებულებას + გადამუშავების თანხა (არ შედის მოგება) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 35%-ს პროდუქციის [ფრანკო ქარხნის](#) ფასში.

იხილეთ GSP სქემის [სახელმძღვანელო](#) ინგლისურ ენაზე.

კონკრეტულ კოდზე განახლებული ინფორმაციის მოძიება წარმოშობის წესის შესახებ შესაძლებელია პორტალზე [Rules of Origin Facilitator](#).

	ფართობი კვადრატულ იკმ.	მოსახლეობა (მლნ ადამიანი) 2022	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (\$) 2023	მშპ (\$მლნ.) 2023	სამშენებლო სექტორის წილი მშპ-ში 2023	დღგ
1	2	3	4	5	6	7
1. ავსტრია	83,858	9.4 ↑	56,506.0 ↑	516,034.14 ↑	7.4 ↑	20%
2. ბელგია	30,528	11.7 ↑	53,475.3 ↑	632,216.58 ↑	5.3 →	21%
3. ბულგარეთი	110,993	6.6 ↓	15,797.6 ↑	101,584.38 ↑	3.7 ↓	20%
4. გერმანია	357,030	83.8 ↑	52,745.8 ↑	4,456,081.02 ↑	5.4 ↑	19%
5. დანია	43,094	5.9 ↑	67,967.4 ↑	404,198.76 ↑	5.1 ↑	25%
6. ესპანეთი	505,992	47.8 ↑	32,677.0 ↑	1,580,694.71 ↑	5.5 ↑	21%
7. ესტონეთი	45,228	1.4 ↑	29,823.7 ↑	40,744.85 ↑	6.3 ↓	22%
8. ირლანდია	70,273	5.2 ↑	103,684.9 ↑	545,629.45 ↑	2.6 ↑	23%
9. იტალია	301,337	59 ↓	38,373.2 ↑	2,254,851.21 ↑	5.3 ↓	22%
10. კვიპროსი	9,251	0.9 ↑	34,701.4 ↑	32,229.62 ↑	5.5 ↑	19%
11. ლატვია	64,589	1.9 ↓	23,184.3 ↑	43,627.08 ↑	5.9 ↑	21%
12. ლიეტუვა	65,300	2.8 ↑	27,102.8 ↑	77,836.40 ↑	7.6 ↑	21%
13. ლუქსემბურგი	2,586	0.7 ↑	128,259.4 ↑	85,755.01 ↑	5.7 →	17%
14. მალტა	316	0.5 ↑	37,882.3 ↑	20,957.00 ↑	4.2 ↓	18%
15. ნიდერლანდები	41,526	17.7 ↑	62,536.7 ↑	1,118,124.75 ↑	5.0 →	21%
16. პოლონეთი	312,685	37.2 ↓	22,112.9 ↑	811,229.10 ↑	6.5 ↑	23%
17. პორტუგალია	91,982	10.41 ↓	27,275.1 ↑	287,080.01 ↑	4.2 ↓	23%
18. რუმინეთი	238,391	19 ↓	18,419.4 ↑	351,002.58 ↑	8.8 ↑	19%
19. საბერძნეთი	131,957	10.4 ↓	22,990.0 ↑	238,206.31 ↑	2.1 ↑	24%
20. სლოვაკეთი	49,012	5.4 ↓	24,470.2 ↑	132,793.62 ↑	7.3 ↓	20%
21. სლოვენია	20,253	2.1 ↑	32,163.5 ↑	68,216.78 ↑	7.0 ↑	22%
22. საფრანგეთი	551,500	68 ↑	44,460.8 ↑	3,030,904.09 ↑	5.6 ↑	20%
23. უნგრეთი	93,030	9.6 ↓	22,147.2 ↑	212,388.91 ↑	6.3 ↓	27%
24. ფინეთი	338,150	5.6 ↑	53,755.9 ↑	300,187.20 ↑	6.2 ↓	25.5%
25. ხორვატია	56,542	3.9 ↓	21,459.8 ↑	82,688.84 ↑		25%
26. ჩეხეთი	78,866	10.7 ↑	30,427.4 ↑	330,858.34 ↑	5.4 ↓	21%
27. შვედეთი	449,964	10.5 ↑	56,305.3 ↑	593,267.70 ↑	6.7 →	25%

* წინა წელთან შედარებით: ↓ კლება; ↑ ზრდა; → უცვლელი.

წყარო: [UNECE](#) ; [ec.europa.eu](#); [WorldBank](#)

INFO 33

	ფართობი კვადრატული კმ. 2022	მოსახლეობა (მლნ ადამიანი) 2022	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (\$) 2023	მშპ (\$მლნ.) 2023	სამშენებლო სექტორის წილი მშპ-ში 2023	დღგ
უზბეკეთი	447 400	34 915 ↑	2,496.1 ↑	90,889.1 5 ↑	6.2% ↓	12%

* წინა წელთან შედარებით: ↓ კლება; ↑ ზრდა; → უცვლელი.

წყარო: [UNECE](#) ; [WorldBank](#) ; [PWC](#)

INFO 34

	ფართობი კვადრატული კმ. 2022	მოსახლეობა (მლნ ადამიანი) 2021	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (\$) 2023	მშპ (\$მლნ.) 2023
აშშ	9 629 090	331 893 745 ↑	81,695.2 ↑	27,360,935.0 0 ↑

* წინა წელთან შედარებით: ↓ კლება; ↑ ზრდა; → უცვლელი.

წყარო: [UNECE](#) ; [WorldBank](#)

INFO 35

	ფართობი კვადრატული კმ. 2022	მოსახლეობა (მლნ ადამიანი) 2022	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (\$) 2023	მშპ (\$მლნ.) 2023	სამშენებლო სექტორის წილი მშპ-ში 2023	დღგ
ყაზახეთი	2 724 900	19 000 988 ↑	13,136.6 ↑	261,421. 12 ↑	6.0 % ↑	12%

* წინა წელთან შედარებით: ↓ კლება; ↑ ზრდა; → უცვლელი.

წყარო: [UNECE](#) ; [WorldBank](#) ; [PWC](#)

განმარტება

#2 ფართობი და **#3** მოსახლეობა, როგორც ცალკე აღებული ინდიკატორები, გამოიყენება მხოლოდ შედარების მიზნით, თუმცა, მათი ფარდობა (**#2/#3**) განსაზღვრავს დასახლების სიმჭიდროვეს. სიმჭიდროვის კოეფიციენტი მიუთითებს ურბანიზაციის დონეზე და განაპირობებს შენობა-ნაგებობების დიზაინს. რაც უფრო მაღალია სიმჭიდროვის კოეფიციენტი, მით უფრო მეტია ვერტიკალური (მრავალსართულიანი) ნაგებობების ალბათობა. ამასთან, მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში საგზაო ინფრასტრუქტურა არის უფრო კომპლექსური და მეტად დატვირთული, შესაბამისად, იგება უფრო მედეგი სამშენებლო მასალით. მჭიდროდ დასახლებულ ბაზრებზე უფრო მაღალია ეკოლოგიური საფრთხეები და მოითხოვს ინოვაციურ გადაწყვეტებს ფართის ოპტიმალური გამოყენების მიზნით, შესაბამისად, ისინი უფრო მიდრეკილია ეკომეგობრული და ინოვაციური სამშენებლო მასალების გამოყენებისკენ.

#4 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე (ესმ) გამოითვლება **#5** მშპ ინდიკატორის ფარდობით **#3** მოსახლეობასთან (**#5/#3**). მშპ განაპირობებს ბაზრის ჯამურ ღირებულებას, ხოლო მშპ ესმ უჩვენებს რამდენად მდიდარია მომხმარებელი, ანუ განსაზღვრავს მის მსყიდველუნარიანობას. მაღალმსყიდველუნარიანი ბაზრები უფრო მიმზიდველია საშუალო და მაღალ სეგმენტზე გათვლილი პროდუქციისთვის. ასეთ ბაზრები უფრო მიდრეკილია გადაიხადონ ფასნამატი ეკომეგობრული და ინოვაციური პროდუქციის შესაძენად. ამის საპირწონედ, კონკურენციაც უფრო მაღალია, რაც ნებაყოფლობითი სერტიფიცირების, როგორც კონკურენტული უპირატესობის, მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

#6 სამშენებლო დარგის წილი მშპ-ში მიუთითებს სამშენებლო ბაზრის მნიშვნელობაზე კონკრეტულ ეკონომიკაში. როგორც წესი, მაღალი წილი/წილის ზრდა მიუთითებს მიმდინარე მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ურბანიზაციის ზრდაზე, არსებული ნაგებობების მასიურ რეკონსტრუქციაზე.

#7 დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ერთიანი ბაზრის ნაწილი. დღგ არ წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების საგანს და შესაბამისად, ნებისმიერი წარმოშობის პროდუქტი იმპორტისას იბეგრება ერთნაირად. თუმცა, ქვეყნებმა შესაძლოა შეამცირონ ან გააუქმონ დღგ მათთვის მნიშვნელოვან პროდუქტებზე დროებით, ან მუდმივად, ყველა იმპორტიორისთვის. დღგ არის ღირებულებაზე დაფუძნებული გადასახადი (ადვალური), ითვლება განუყოფელი საქონლის ღირებულებიდან, და ემატება მას.

განმარტება

#2 ფართობი და **#3** მოსახლეობა, როგორც ცალკე აღებული ინდიკატორები, გამოიყენება მხოლოდ შედარების მიზნით, თუმცა, მათი ფარდობა (**#2/#3**) განსაზღვრავს დასახლების სიმჭიდროვეს. სიმჭიდროვის კოეფიციენტი მიუთითებს ურბანიზაციის დონეზე და განაპირობებს შენობა-ნაგებობების დიზაინს. რაც უფრო მაღალია სიმჭიდროვის კოეფიციენტი, მით უფრო მეტია ვერტიკალური (მრავალსართულიანი) ნაგებობების ალბათობა. ამასთან, მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში საგზაო ინფრასტრუქტურა არის უფრო კომპლექსური და მეტად დატვირთული, შესაბამისად, იგება უფრო მედეგი სამშენებლო მასალით. მჭიდროდ დასახლებულ ბაზრებზე უფრო მაღალია ეკოლოგიური საფრთხეები და მოითხოვს ინოვაციურ გადაწყვეტებს ფართის ოპტიმალური გამოყენების მიზნით, შესაბამისად, ისინი უფრო მიდრეკილია ეკომეგობრული და ინოვაციური სამშენებლო მასალების გამოყენებისკენ. იხილეთ მოსახლეობის სიმჭიდროვე [შტატების მიხედვით](#).

#4 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე (ესმ) გამოითვლება **#5** მშპ ინდიკატორის ფარდობით **#3** მოსახლეობასთან (**#5/#3**). მშპ განაპირობებს ბაზრის ჯამურ ღირებულებას, ხოლო მშპ ესმ უჩვენებს რამდენად მდიდარია მომხმარებელი, ანუ განსაზღვრავს მის მსყიდველუნარიანობას. მაღალმსყიდველუნარიანი ბაზრები უფრო მიმზიდველია საშუალო და მაღალ სეგმენტზე გათვლილი პროდუქციისთვის. ასეთ ბაზრები უფრო მიდრეკილია გადაიხადონ ფასნამატი ეკომეგობრული და ინოვაციური პროდუქციის შესაძენად. ამის საპირწონედ, კონკურენციაც უფრო მაღალია, რაც ნებაყოფლობითი სერტიფიცირების, როგორც კონკურენტული უპირატესობის, მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. იხილეთ მშპ ესმ [შტატების მიხედვით](#).

#6 სამშენებლო დარგის წილი მშპ-ში მიუთითებს სამშენებლო ბაზრის მნიშვნელობაზე კონკრეტულ ეკონომიკაში. როგორც წესი, მაღალი წილი/წილის ზრდა მიუთითებს მიმდინარე მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ურბანიზაციის ზრდაზე, არსებული ნაგებობების მასიურ რეკონსტრუქციაზე. იხილეთ სამშენებლო დარგის წილი მშპ-ში [შტატების მიხედვით](#).

აშშ-ში გაყიდვების გადასახადის ტარიფები (დღგ-ის ალტერნატივა) სხვადასხვა შტატში განსხვავდება. ზოგიერთ შტატში მოქმედებს ადგილობრივი გაყიდვების გადასახადიც, რაც გავლენას ახდენს საბოლოო განაკვეთზე, რომელსაც მომხმარებლები იხდიან. ცხრილში მოცემულია ტარიფები 2024 წლის მონაცემებით. ზუსტი ინფორმაციისთვის იხილეთ [Tax Foundation](#) ვებგვერდის განახლებადი საინფორმაციო [ბაზა](#).

შტატი	გაყიდვების გადასახადი (Sales Tax)	შტატი	გაყიდვების გადასახადი (Sales Tax)
1 ალაბამა	4.00%	26 მონტანა	0.00%
2 ალასკა	0.00%	27 ნებრასკა	5.50%
3 არიზონა	5.60%	28 ნევადა	6.85%
4 არკანზასი	6.50%	29 ნიუ ჰემფშირი	0.00%
5 კალიფორნია	7.25%	30 ნიუ ჯერსი	6.625%
6 კოლორადო	2.90%	31 ნიუ მექსიკო	5.125%
7 კონექტიკუტი	6.35%	32 ნიუ იორკი	4.00%
8 დელავერი	0.00%	33 ჩრდილოეთ კაროლინა	4.75%
9 ფლორიდა	6.00%	34 ჩრდილოეთ დაკოტა	5.00%
10 ჯორჯია	4.00%	35 ოჰაიო	5.75%
11 ჰავაი	4.00%	36 ოკლაჰომა	4.50%
12 აიდაჰო	6.00%	37 ორეგონი	0.00%
13 ილინოისი	6.25%	38 პენსილვანია	6.00%
14 ინდიანა	7.00%	39 როდ აილენდი	7.00%
15 აიოვა	6.00%	40 სამხრეთ კაროლინა	6.00%
16 კანზასი	6.50%	41 სამხრეთ დაკოტა	4.50%
17 კენტუკი	6.00%	42 ტენესი	7.00%
18 ლუიზიანა	4.45%	43 ტეხასი	6.25%
19 მაინი	5.50%	44 იუტა	4.85%
20 მერილენდი	6.00%	45 ვერმონტი	6.00%
21 მასაჩუსეტსი	6.25%	46 ვირჯინია	5.30%
22 მიჩიგანი	6.00%	47 ვაშინგტონი	6.50%
23 მინესოტა	6.875%	48 დასავლეთ ვირჯინია	6.00%
24 მისისიპი	7.00%	49 ვისკონსინი	5.00%
25 მისური	4.225%	50 ვაიომინგი	4.00%

განმარტება**1. რანგი**

ექსპორტიორი ქვეყნის რანგი იმპორტიორ ქვეყანაში მოცემულ წელს განხორციელებული იმპორტის ღირებულების მიხედვით. დალაგებულია კლებადობით.

2. ექსპორტიორი

ქვეყანა რომელმაც მოცემულ წელს მოცემული პროდუქტი შეიტანა იმპორტიორი ქვეყნის ბაზარზე. დალაგებულია კლებადობით, იმპორტის ღირებულების მიხედვით.

3. იმპორტის ღირებულება (\$000)

მითითებული წლის განმავლობაში იმპორტირებული საქონლის მთლიანი ღირებულება (ტრანსპორტირების ჩათვლით) ათასობით დოლარში. იმპორტიორი ქვეყანა იმპორტის ღირებულებას ადეკლარირებს ტრანსპორტირების ჩათვლით, ხოლო ექსპორტიორი ქვეყანა ტრანსპორტირების გარეშე, რაც იწვევს მცირე აცდენას მონაცემებში. ეს მაჩვენებელი მიუთითებს მოთხოვნას იმპორტირებულ საქონელზე და წარმოდგენას ქმნის ბაზრის ზომაზე. იმპორტის უფრო მაღალი ღირებულება შეიძლება მიუთითებდეს ბაზრის ძლიერ მოთხოვნაზე, განსაკუთრებით თუ იმპორტის ზრდის მაჩვენებელიც მაღალია.

4. სავაჭრო ბალანსი (\$000)

სხვაობა მითითებულ წელს იმპორტიორი ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის, რომელიც იზომება ათასობით დოლარში. დადებითი სავაჭრო ბალანსი მიუთითებს იმაზე მეტ ექსპორტს, ვიდრე იმპორტზე, რაც შეიძლება გულისხმობდეს კონკურენტუნარიან ადგილობრივ ინდუსტრიას, ხოლო უარყოფითი ბალანსი მიუთითებს იმპორტირებულ საქონელზე დამოკიდებულებას.

5. ექსპორტიორის წილი იმპორტიორის იმპორტში (%)

მიუთითებს იმპორტიორი ქვეყნის ბაზრის (მოცემული პროდუქტის იმპორტის მთლიანი ღირებულების) პროცენტულ წილს რომელიც ექსპორტიორმა დაიკავა მოცემულ წელს. რაც იძლევა ინფორმაციას ექსპორტიორი ქვეყნის მიერ ბაზარზე შეღწევადობისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ. რაც უფრო მაღალია წილი, მით უფრო კარგად არის დამკვიდრებული ექსპორტიორი იმპორტის ბაზარზე და მით უფრო ძნელია ახალი ექსპორტიორი ქვეყნებისთვის მისთვის კონკურენციის გაწევა.

6. იმპორტიორის წილი ექსპორტიორის ექსპორტში (%)

მიუთითებს ექსპორტიორი ქვეყნის ბაზრის (მოცემული პროდუქტის ექსპორტის მთლიანი ღირებულების) პროცენტულ წილს რომელიც იმპორტიორმა დაიკავა მოცემულ წელს, რაც იძლევა ინფორმაციას იმპორტიორის ბაზრის მნიშვნელობაზე ექსპორტიორისთვის. რაც უფრო დიდია წილი, მით უფრო არის ექსპორტიორი დამოკიდებული იმპორტიორის ბაზარზე.

7. იმპორტის მოცულობა

აჩვენებს მითითებულ წელს მითითებული საქონლის იმპორტირებულ მოცულობას (რაოდენობას). იმპორტის მოცულობა წარმოდგენას ქმნის ბაზრის მასშტაბზე ლოგისტიკური თვალსაზრისით. იმპორტის მოცულობა, ადგილობრივი წარმოების მოცულობასთან ერთად, მიუთითებს იმპორტიორი

ქვეყნის მოხმარებას. წარმოების სტატისტიკა როგორც წესი ხელმისაწვდომია ეროვნულ სტატისტიკურ პორტალებზე.

8. საზომი ერთეული

განსაზღვრავს ერთეულს, რომელიც გამოიყენება იმპორტის მოცულობის გასაზომად (მაგ., ტონა, ლიტრი, ცალი). ეს მონაცემი გადამწყვეტია იმპორტის მონაცემების ზუსტი შედარებისა და ანალიზისთვის.

9. ერთეულის ღირებულება (\$/ერთეული)

მონაცემი მიღებულია ღირებულების მოცულობაზე გაყოფით და მიუთითებს პროდუქტის ერთეულის ფასს. ფასების შედარების დროს, მნიშვნელოვანია რომ შედარებული იყოს ერთნაირი ერთეულები (მაგ. ტონა - ტონასთან, ცალი - ცალთან). ერთეულის მაღალი ღირებულება მიუთითებს რომ იმპორტიორი მაღალ ფასად ყიდულობს პროდუქტს, ან მაღალხარისხიან პროდუქტს იძენს, ან შესაძლებელია ერთეულის ფასს აძვირებს ტრანსპორტირების ხარჯი, რადგან იმპორტის სტატისტიკაში ღირებულება ასახავს იმპორტის საზღვრამდე პროდუქტის ჩატანის ფასს (CIF). ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს დისტანცია ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის.

10. იმპორტის ღირებულების წლიური საშ. ზრდა 5-წლიან პერიოდში (%)

ასახავს იმპორტის ღირებულების ცვლილებას 5-წლიან პერიოდში, რაც გამოსახულია პროცენტულად. ფორმულა ითვლის რთულ პროცენტს (მეთოდოლოგია). ეს მონაცემი მნიშვნელოვანია პროდუქტზე მოთხოვნის ზოგადი ტენდენციის დასადგენად გრძელვადიან ჭრილში მაგრამ არ აჩვენებს თუ საგრძნობი ცვლილება რომელიმე კონკრეტულ წლებს შორის მოხდა. როდესაც ღირებულების ცვლილება უფრო მაღალია ვიდრე მოცულობის, უნდა ვივარაუდოთ რომ პროდუქტი გაძვირდა, და პირიქით.

11. იმპორტის მოცულობის წლიური საშ. ზრდა 5-წლიან პერიოდში (%)

ასახავს იმპორტის მოცულობის (რაოდენობის) ცვლილებას 5-წლიან პერიოდში, რაც გამოსახულია პროცენტულად. ფორმულა ითვლის რთულ პროცენტს (მეთოდოლოგია). ეს მონაცემი მნიშვნელოვანია პროდუქტზე მოთხოვნის ზოგადი ტენდენციის დასადგენად გრძელვადიან ჭრილში მაგრამ არ აჩვენებს თუ საგრძნობი ცვლილება რომელიმე კონკრეტულ წლებს შორის მოხდა. გრძელვადიანი ზრდა დადებითი ნიშანია ბაზრის ათვისებისთვის მაგრამ სასურველია ბოლო ორი წლის სხვაობის შედარებაც რომ დავრწმუნდეთ რომ ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია. როდესაც მოცულობის ცვლილება უფრო მაღალია ვიდრე ღირებულების ცვლილება იგივე პერიოდში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროდუქტი გაიაფდა, და პირიქით.

12. იმპორტის ღირებულების ზრდა ორწლიან პერიოდში (%)

ასახავს იმპორტის ღირებულების ცვლილებას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რაც გამოსახულია პროცენტულად. ეს მონაცემი მნიშვნელოვანია ექსპორტიორის პროდუქტზე მოთხოვნის ტენდენციის სანახავად მოკლევადიან ჭრილში. თუ ზრდა გრძელვადიან პერიოდში მცირეა, ხოლო ბოლო მოკლევადიან პერიოდში მაღალი, ეს მიუთითებს ბაზარზე ახალი შესაძლებლობების გაჩენას რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მაგალითად ახალი მასშტაბური პროექტებით ან საკანონმდებლო ცვლილებით. მაშტაბური ცვლილებების შემთხვევაში როგორც წესი ყველა ექსპორტიორის შემთხვევაში ერთნაირი ტენდენცია შეინიშნება. საკანონმდებლო ცვლილება თუ სავალდებულო სერტიფიცირებას ეხება, როგორც წესი იმ ქვეყნებიდან იქნება ზრდა რომლებიც მაღალხარისხიან პროდუქტს აწარმოებენ და ამასთანავე ერთეულის ფასის ჯამური ზრდაც უნდა ფიქსირდებოდეს. როდესაც მოკლევადიანი ზრდა თანხვედრაშია გრძელვადიანთან, ეს მიუთითებს რომ მოთხოვნა

ექსპორტიორი ქვეყნ(ებ)ის პროდუქტზე სტაბილურია და შესაბამისად ექსპორტიორი ახერხებს დამკვიდრდეს ბაზარზე, ანუ ძლიერი კონკურენტია. როდესაც ღირებულების ცვლილება უფრო მაღალია ვიდრე მოცულობის, უნდა ვივარაუდოთ რომ პროდუქტი გაძვირდა, და პირიქით.

13. ექსპორტიორის გლობალური რანგი მსოფლიო ბაზარზე

მიუთითებს თუ რა პოზიცია ეკავა ექსპორტიორს მიუთითებულ წელს მიუთითებული პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე იმპორტის ღირებულების მიხედვით. რანჟირება დალაგებულია კლებადობით (რანგი 1 აღნიშნავს მსოფლიო ბაზრის ლიდერს).

14. ექსპორტიორის წილი მსოფლიო ბაზარზე (%)

მიუთითებს ღირებულების რა პროცენტული წილი ეჭირა ექსპორტიორს მსოფლიო ბაზარზე მიუთითებული პროდუქტის შემთხვევაში მიუთითებულ წელს. ინდიკატორი იძლევა ინფორმაციას ექსპორტიორი ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ. რაც უფრო დიდია წილი, მით უფრო ძლიერი მოთამაშეა ექსპორტიორი მსოფლიო ბაზარზე.

15. იმპორტიორების ექსპორტის ღირებულების საშ. წლიური ზრდა 5-წლიან პერიოდში (%)

აჩვენებს თუ რამდენად იზრდებოდა იმპორტიორების ექსპორტის ღირებულების წილი მსოფლიო ბაზარზე 5-წლიან პერიოდში. ეს მონაცემი არ აჩვენებს თუ ზრდა/კლება რომელიმე კონკრეტულ წლებში იყო, ამიტომ შესაძლებელია ცვლილება არ ასახავდეს უახლოეს პერიოდს. რაც უფრო ახლოს არის ექსპორტიორის გლობალური წილის ზრდა იმპორტიორის ბაზარზე წილის ზრდასთან, მით უფრო მიუთითებს ექსპორტიორის ზოგად შესაძლებლობებზე. თუ ეს სხვაობა მნიშვნელოვანია, ის მიუთითებს განსაკუთრებულ ბარიერებზე ან შესაძლებლობებზე რომლებიც კონკრეტულად იმპორტის ბაზარზე შეინიშნება და შეიძლება არ ასახავდეს გლობალურ ტენდენციებს.

16. იმპორტიორის მიერ დადგენილი ბაჟი (%)

მიუთითებს იმპორტის გადასახადზე რომელიც მოქმედებს კონკრეტულად ექსპორტიორისთვის. თუ რომელიმე ექსპორტიორის ბაჟი სხვისაზე ნაკლებია, ეს მიუთითებს იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის მოქმედ ვაჭრობის საშეღავათო რეჟიმზე.

17. დისტანცია (დღეები) cargorouter

დისტანცია დათვლილია ონლაინ ლაივ პლატფორმის www.cargorouter.com მეშვეობით და ის ასახავს გადამზიდი კომპანიების მიერ მიების მომენტში მიწოდებულ ინფორმაციას. მარშრუტები და განრიგები მუდმივად იცვლება, ამიტომ რეკომენდებულია გადამოწმება. მიუხედავად ამისა, ეს მონაცემი გამოსადეგია მიახლოებითი შედარების გასაკეთებლად. გარდა ფასისა, ტრანსპორტირების ვადებიც შეიძლება იყოს გადამწყვეტი კონკურენტული უპირატესობა, განსაკუთრებით საცალო რეალიზაციისთვის განკუთვნილი პროდუქციის ექსპორტის შემთხვევებში.

განმარტაბაი

იმპორტის ღირებულება (\$000)

მითითებული წლის განმავლობაში იმპორტირებული საქონლის მთლიანი ღირებულება (ტრანსპორტირების ჩათვლით) ათასობით დოლარში. იმპორტიორი ქვეყანა იმპორტის ღირებულებას ადევლარირებს ტრანსპორტირების ჩათვლით, ხოლო ექსპორტიორი ქვეყანა ტრანსპორტირების გარეშე, რაც იწვევს მცირე აცდენას მონაცემებში. ეს მაჩვენებელი მიუთითებს მოთხოვნას იმპორტირებულ საქონელზე და წარმოდგენას ქმნის ბაზრის ზომაზე. იმპორტის უფრო მაღალი ღირებულება შეიძლება მიუთითებდეს ბაზრის ძლიერ მოთხოვნაზე, განსაკუთრებით თუ იმპორტის ზრდის მაჩვენებელიც მაღალია.

სავაჭრო ბალანსი (\$000)

სხვაობა მითითებულ წელს იმპორტიორი ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის, რომელიც იზომება ათასობით დოლარში. დადებითი სავაჭრო ბალანსი მიუთითებს იმაზე მეტ ექსპორტს, ვიდრე იმპორტზე, რაც შეიძლება გულისხმობდეს კონკურენტუნარიან ადგილობრივ ინდუსტრიას, ხოლო უარყოფითი ბალანსი მიუთითებს იმპორტირებულ საქონელზე დამოკიდებულებას.

იმპორტის მოცულობა

აჩვენებს მითითებულ წელს მითითებული საქონლის იმპორტირებულ მოცულობას (რაოდენობას). იმპორტის მოცულობა წარმოდგენას ქმნის ბაზრის მასშტაბზე ლოგისტიკური თვალსაზრისით. იმპორტის მოცულობა, ადგილობრივი წარმოების მოცულობასთან ერთად, მიუთითებს იმპორტიორი ქვეყნის მოხმარებას. წარმოების სტატისტიკა როგორც წესი ხელმისაწვდომია ეროვნულ სტატისტიკურ პორტალებზე.

ერთეულის ღირებულება (\$/ერთეული)

მონაცემი მიღებულია ღირებულების მოცულობაზე გაყოფით და მიუთითებს პროდუქტის ერთეულის ფასს. ფასების შედარების დროს, მნიშვნელოვანია რომ შედარებული იყოს ერთნაირი ერთეულები (მაგ. ტონა - ტონასთან, ცალი - ცალთან). ერთეულის მაღალი ღირებულება მიუთითებს რომ იმპორტიორი მაღალ ფასად ყიდულობს პროდუქტს, ან მაღალხარისხიან პროდუქტს იძენს, ან შესაძლებელია ერთეულის ფასს აძვირებს ტრანსპორტირების ხარჯი, რადგან იმპორტის სტატისტიკაში ღირებულება ასახავს იმპორტის საზღვრამდე პროდუქტის ჩატანის ფასს (CIF). ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს დისტანცია ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს შორის.

INFO 40

	ფართობი კვადრატულ ი კმ. 2022	მოსახლეობა (მლნ ადამიანი) 2022	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (\$) 2023	მშპ (\$მლნ.) 2023	სამშენებლო სექტორის წილი მშპ-ში 2023	დღგ
იტალია	301 337	59 013 667 ↓	38,373.2 ↑	2,254,851.21 ↑	5.3% ↓	22%

* წინა წელთან შედარებით: ↓ კლება; ↑ ზრდა; → უცვლელი.

წყარო: [UNECE](#) ; [ec.europa.eu](#); [WorldBank](#)

INFO41

	ფართობი კვადრატულ ი კმ. 2022	მოსახლეობა (მლნ ადამიანი) 2022	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (\$) 2023	მშპ (\$მლნ.) 2023	სამშენებლო სექტორის წილი მშპ- ში 2023	დღგ
შვედეთი	449 964	10 486 941 ↑	56,305.3 ↑	593,26 7.70 ↑	6.7% →	25%

* წინა წელთან შედარებით: ↓ კლება; ↑ ზრდა; → უცვლელი.

INFO42

	ფართობი კვადრატულ ი კმ. 2022	მოსახლეობა (მლნ ადამიანი) 2022	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (\$) 2023	მშპ (\$მლნ.) 2023	სამშენებლო სექტორის წილი მშპ-ში 2023	დღგ
გერმანია	357 030	83 797 985 ↑	52,745.8 ↑	4,456,08 1.02 ↑	5.4 ↑	19%

* წინა წელთან შედარებით: ↓ კლება; ↑ ზრდა; → უცვლელი.

წყარო: [UNECE](#) ; [ec.europa.eu](#); [WorldBank](#)

24DEFINITIONS

Def ტემინის განმარტებითი ბარათი

Def 1

HS Code

Harmonized System Codes გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში საქონლისა და მომსახურების იდენტიფიცირების მიზნით. 6-ნიშნა დონეზე საერთაშორისოა, ხოლო 11 ნიშნა დონეზე ბოლო 5 ნიშანი ენიჭება ადგილობრივად, ექსპორტიორი ქვეყნის მიერ. საქართველოს კანონმდებლობით განიმარტება როგორც “საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდი (სეს ესნ)”.

2-ნიშნა: სასაქონლო ჯგუფი

4-ნიშნა: სასაქონლო პოზიცია

6-ნიშნა: სუბპოზიცია

11-ნიშნა: National Tariff Line (NTF)

Def 2

პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი

დოკუმენტი რომელიც ადასტურებს რომ პროდუქტს შეუძლია ისარგებლოს სავაჭრო შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათით.

Def 3

არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი

დოკუმენტი რომელიც ადასტურებს რომ პროდუქტს არ შეუძლია ისარგებლოს სავაჭრო შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათით. გამოიყენება სხვადასხვა სავაჭრო შეზღუდვების (ქვოტა, სანქცია) ასარიდებლად.

Def 4

CE ნიშანდება (CE) Conformité Européenne

CE არის სასერთიფიკაციო ნიშანი, რომელიც დატანილია პროდუქტზე და ადასტურებს, რომ პროდუქტი შეესაბამება ევროკავშირის დირექტივების და ევროკავშირის ჰარმონიზებული სტანდარტების ძირითად მოთხოვნებს და იმას, რომ პროდუქტს დაკმაყოფილებული აქვს დირექტივებთან შესაბამისობის შეფასების პროცედურა.

EN/IEC Standards

ევროკავშირში გავრცელებული საწარმოო სტანდარტები რომელთა ერთობლიობა განაპირობებს CE ნიშანდების მოპოვებას.

ფრანკო-ქარხნის ფასი (EXW) Ex-Works

ფრანკო-ქარხნის ფასი = მასალები + ნაწილები + ქარხნის ზედნადები + შრომა + ნებისმიერი სხვა გონივრული ხარჯი, რომელიც წარმოიშვა წარმოების პროცესის დროს (მაგ. გადასახადები, რომლებიც გადახდილია ბენეფიციარ ქვეყანაში იმპორტირებულ მასალებზე და არ დაბრუნდება საქონლის ექსპორტის დროს) + გონივრული მოგება.

საქონლის ქარხნიდან გასვლის შემდეგ გაწეული ნებისმიერი ხარჯი, როგორიცაა დატვირთვა, დროებითი შენახვა, ტრანსპორტირება, დაზღვევა და სხვ. არ შედის ფრანკო-ქარხნის ფასის გაანგარიშებაში.

ადვალური წილის წესი (QVC) Qualifying Value Content

ადვალური (ღირებულებითი) წილის კრიტერიუმის გამოყენების დროს საქონელი ჩაითვლება იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც არის წარმოშობილი ამ საქონლის დასამზადებლად გამოყენებული მასალები და ნედლეული, ხოლო ამ მასალებისა და ნედლეულის საბაჟო ღირებულება შეადგენს მზა პროდუქციის ფრანკო-ქარხნის ფასის კონკრეტულ პროცენტს.

კოდის ცვლილების წესი (CTH) Change of Tarriiff Headline

HS კოდის პირველ ოთხნიშნა დონეზე (იგივე სასაქონლო პოზიციის) ცვლილების კრიტერიუმი ნიშნავს საქონლის გადამუშავებას მოცემულ ქვეყანაში ისეთი დოზით, როდესაც გადასამუშავებელი მასალები და ნედლეული იცვლის სასაქონლო კოდის პირველი 4 ციფრიდან (სასაქონლო პოზიციიდან) თუნდაც ერთ ნიშანს (ციფრს)

სპეციფიკური ოპერაციები (PSR) Product Specific Rules

HS კოდის პირველ ოთხნიშნა დონეზე (იგივე სასაქონლო პოზიციის) ცვლილების კრიტერიუმი ნიშნავს საქონლის გადამუშავებას მოცემულ ქვეყანაში ისეთი დოზით, როდესაც გადასამუშავებელი მასალები და ნედლეული იცვლის სასაქონლო კოდის პირველი 4 ციფრიდან (სასაქონლო პოზიციიდან) თუნდაც ერთ ნიშანს (ციფრს)

კუმულაცია Cumulation

კუმულაციის რეჟიმის დროს, კუმულაციაში მონაწილე ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელი ჩაითვლება ადგილობრივად. კუმულაცია ზრდის ადვალური ღირებულების წესის (QVC) მიერ დადგენილ პროცენტულ ზღვარს.

ტოლერანტობის წესი De Minimis

წარმოშობის არმქონე ნედლეულის საბაჟო ღირებულების ან წონის მცირე წილი (10%-20%) რომელიც არ მონაწილეობს კალკულაციაში და შესაბამისად ითვლება როგორც ადგილობრივი ნედლეული. ტოლერანტობის წესი ამარტივებს კოდის ცვლილების კრიტერიუმს.

მთლიანად წარმოშობილი (WO) Wholly Obtained

საქონლის წარმოშობის კრიტერიუმი რომელიც გამორიცხავს ექსპორტიორი ქვეყნის მიერ იმპორტირებული ნედლეულის გამოყენებას სატარიფო შეღავათის მიზნით (როგორც წესი ეხება ცოცხალ ცხოველებს, მცენარეებს, წიაღისეულის და ა.შ.).

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ტარიფი (MFN) Most Favored Nation tariff

იმპორტის გადასახადი რომელიც მოქმედებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო/WTO) წევრებისთვის თუ მათ ასევე არ გააჩნიათ დამატებითი შეთანხმება საშეღავათო რეჟიმზე. MFN ტარიფი არის იმპორტის გადასახადის მაქსიმალური ზღვარი და მასზე მაღალი ტარიფი ქვეყანამ შესაძლოა დააწესოს მხოლოდ მსო-ს არაწევრი სახელმწიფოებისთვის.